საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სიმონ ჩხაიძის* შეფასების შედეგი:

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	89	100

ლევან ნემსაძე ს. ნემსაძე

თარიღი: 29. 04. 2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

2024 წლის 29 აპრილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **სიმონ ჩხაიძის**

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა სიმონ ჩხაიძე. ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ რომელსაც გავეცანი. 2024 წლის 3 აპრილს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი შევაფასე - ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, სტუ). სპეციალობით მუშაობს 28 წელია, მათ შორის - მოსამართლედ დაახლოებით 18 წელზე მეტია. კერძოდ:

- 1996-1999 წლებში იყო მასწავლებელი ბათუმის სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტში, ასევე - მასწავლებელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში;

- 1998 წელს იყო შპს „დამოუკიდებელი რეგისტრატორი რეესტრ-ცენტრის" იურისტი;

- 1998-2000 წლებში იყო სს „ინდუსტრია-ინვესტის" იურისტი;

- 1999-2000 წლებში იყო შპს „იურიდიულ-საგადასახადო კონსალტინგის" დირექტორი, ხოლო 2000-2004 წლებში - იმავე საწარმოს თბილისის ფილიალის დირექტორი;

- 2004-2006 წლებში იყო სპს „ალაფიშვილი, ყავლაშვილი და ჩხაიძე – GLG იურიდიული ოფისის" მმართველი პარტნიორი;

- 2004 წელს იყო აჭარის ა/რ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი;

- 2005-2006 წლებში - „თავისუფლების ინსტიტუტი" რეგიონალური ომბუდსმენი.

მოსამართლედ განწესდა 2006 წლის 20 თებერვალს და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა:

- 2006-2019 წლებში - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის თანამდებობაზე

- 2019 წლის 22 ნოემბრიდან დღემდე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იყო რესპუბლიკური პოლიტიკური პარტიის წევრი/ მხარდამჭერი 1991-2006 წლებში.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის საკუთრებად რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთები 2000 m^2 ფართით და 1200 m^2 ფართით, მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. შუხუთში; უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის

დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. სასამართლოში კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა 2 სამოქალაქო საქმეში. ის არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 93.5% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 93.1% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც; მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 90.7% შემთხვევაში.

კანდიდატმა წარმოადგინა მისი ავტორობით/ თანაავტორობით შექმნილი სამართლებრივი ნაშრომები: 1. „სხვა ობიექტური გარემოება", როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი -„მართლმსაჯულება და კანონი" N4 (56)17; 2. „სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში" - სახელმძღვანელო - თანაავტორი; 3. „ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემისას"; 4. ,,უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის სუბსიდიური ხასიათი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში" - „მართლმსაჯულება და კანონი" – N2 (78)23.

გარდა ამისა, სხვადასხვა დროს, კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი სამართლებრივი ნაშრომები: 1. „დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში - ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი" – „მართლმსაჯულება და კანონი" (N:4(35)12; 2. „მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებაში" – „მართლმსაჯულება და კანონი" (N:1(28)11; 3. ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი) – „მართლმსაჯულება და კანონი" – N2 (41)14.

აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ კანდიდატი ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას (აღქმას) გარკვეულწილად აფერხებს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ 3 სასწავლო ღონისძიებაში:

- 14-18 თებერვალი, 2023წ: ევროკომისიისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მიერ ჰააგის კონვენციების იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივად ორგანიზებული ონლაინ ტრენინგი;

- 28-30 ივნისი, 2023 წ: სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა;

- 27 იანვარი, 2020წ: ბავშვის უფლებათა კოდექსი, სამუშაო შეხვედრა.

კანდიდატს 2005 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- 2014-2019 წლებში: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი – მოწვეული სპეციალისტი;

- 2020-2022 წლებში: თბილისის ღია უნივერსიტეტი - მოწვეული სპეციალისტი.

- 2022 წლიდან დღემდე - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი - მოწვეული სპეციალისტი.

კანდიდატი" ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

სამი წლის განმავლობაში კანდიდატს არ ჩაუდენია არც ერთი სამართალდარღვევა. „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი" ბევრ სხვა კომპონენტსაც მოიცავს, როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ. (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდა) კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მივიჩნიე, რომ სიმონ ჩხაიძე აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

კანდიდატს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა, არის პრინციპული, შრომისმოყვარე, გაწონასწორებული, მიუკერძოებელი პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, არის - სამართლიანი. ზემოაღნიშნული თვისებებიდან გამომდინარე მივიჩნიე, რომ იგი აკმაყოფილებს, „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

კანდიდატთან საჯარო მოსმენისა და ასევე მის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, შეუძლია ემოციების მართვა და იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს. არის თავდაჭერილი, სამართლიანი და თავდაჯერებული. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატის პიროვნულ თვისებებს დადებითად ახასიათებენ გამოკითხული პირები. აქვს მაღალი რეპუტაცია, ავტორიტეტი, როგორც კოლეგა მოსამართლეებში, ასევე სასამართლოს აპარატის თანამშრომლებში, იურიდიულ წრეებში; შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს, ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს ,,იუსტიციის უმაღლესი საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო ძირითადად თანმიმდევრული და არგუმენტირებული; თუმცა, გამოვლინდა გარკვეული შეცდომები/ხარვეზები. რიგ შეკითხვებს კანდიდატმა გასცა ზოგადი პასუხები. კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების კარგი ცოდნა. აქვს ანალიზის კარგი უნარი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს როგორც მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა. კანდიდატის მიერ შედგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია სწორად.

შესაბამისად კანდიდატი გასაუბრებისა და მის მიმართ დასმული კითხვების სირთულის მიხედვით სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლის მიხედვით შევაფასე 17 ქულით.

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს რთულ წინადადებებს, ასევე - გვხვდება გარკვეული ხარვეზები სასვენი ნიშნების გამოყენებასთან მიმართებით. სამართლებრივი დოკუმენტი ზოგიერთ შემთხვევაში არის გადატვირთული, შესაბამისად გარკვეულწილად რთულდება დოკუმენტის მარტივად აღქმა, რაც მხარეებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდეს.

აქედან გამომდინარე მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 17 ქულით.

შევაფასე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობა ლოგიკურია, კანდიდატს გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარი; იგი კარგად ფლობს და ადეკვატურად იყენებს სამართლებრივ ლექსიკას. თუმცა როგორც აღინიშნოს, ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს რთულ წინადადებებს, რაც ართულებს დოკუმენტის მარტივად აღქმას.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია აღვნიშნო, რომ მეტყველებს გამართულად, აზრს ნათლად, მკაფიოდ და გასაგებად გადმოცემს, მსჯელობს ლოგიკურად, აქვს უნარი სხვისი აზრის მოსმენისა. გასაუბრების მსვლელობის დროს იყო ღია და გახსნილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარი"-ს მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 14 ქულით.

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციისა და მასთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი, არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში არის სათანადო. გადაწყვეტილებას იღებს დაუხმარებლად; აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი. თუმცა, გასათვალისწინებელია ზემოთ აღწერილი საპროცესო ვადების დარღვევისა და გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი.

ამდენად მივიჩნიე, რომ კანდიდატი პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 14 ქულით.

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში არ არის აქტიურად ჩართული. გააჩნია სათანადო ინტერესი ცოდნის, ახალი გამოცდილებისა და უნარების შეძენისა.

არის მოტივირებული და ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მასთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ არის შრომისმოყვარე და ღიაა სიახლეების მიმართ.

კანდიდატი ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 4 ქულით.

კანდიდატი აქტიურადაა ჩართული და ესწრება სამართლებრივი სისტემისა თუ მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში; იჩენს ინიციატივას და აყენებს ახალ იდეებსა და წინადადებებს. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 5 ქულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს მივანიჭე - 89 ქულა.

ხელმოწერა

თარიღი 29.04.2024